ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებსა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია 18.2 შენიშვნაში.

სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება სესხის გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. სხვაობა, წარმოშობილი მის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის, აისახება პერიოდის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი მიღებულია აქციონერისგან. ამ შემთხვევაში სხვაობა წარმოშობილი რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. საწყისი აღიარების შემდეგ, სასესხო ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, ხოლო სხვაობა წარმოშობილი მის თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში. სესხთან დაკავშირებული პროცენტი და სხვა დანახარჯები აღიარდება ფინანსურ ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დანახარჯები პირდაპირ მიეკუთვნება განსაკუთრებული აქტივის შეძენას ან წარმოებას. ამ შემთხვევაში ეს დანახარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

3.6 გაუფასურება

გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივების დაჯგუფება ხდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს მეტწილად დომოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოდინებები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). შედეგად, ზოგიერთი აქტივის ტესტირება გაუფასურებაზე ხდება ინდივიდუალურად, ხოლო ზოგიერთი მათგანის ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუხაზღვრელი სასიცოხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება იმ თანხით რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება. ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდებში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

3.6 გაუფასურება (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველ საანგარიშგებო პერიოდში რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით, ფასდება გაუფასურების მაჩვენებელზე. ფინანსური აქტივების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ ერთი ან რამდენიმე შემთხვევის მოხდენის ალბათობა, ინვესტიციის სამომავლო ფულად ნაკადებზე მოახდენს გავლენას.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისთვის, გაუფასურება წარმოადგენს აქტივის საბალანსო ღირებულებას და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას. ყველა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით.

სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდა და ეს შემცირება შესაძლებელია ობიექტურად დაკავშირებულ იქნას გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ შემთხვევასთან, წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალი აისახება მოგება-ზარალზე იმ პირობით, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურების თარიღისთვის არ გადააჭარბებს აქტივის ამორტიზირებად ღირებულებას, გაუფასურების არ აღიარების შემთხვევაში.

სავაჭროდ გამიზნული ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში, რეალური ღირებულების ნებისმიერი მატება შემდგომი გაუფასურებით, უნდა აღიარდეს კაპიტალში.

3.7 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ.) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდი აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

გადაფასების რეზერვი მოიცავს მიწისა და შენობების გადაფასებიდან მიღებულ მოგებას/ზარალს.

3.8 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდამოთხები და კომპანიის მიერ დაშვებული სხვა შელავათები.

შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდამოთხებითა და სხვა მსგავსი შელავათებით.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის

- კომპანიამ გადასცა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას არ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა კომპანიაში; და
- ოპერაციასთან დაკავშირებული ღირებულებები და დასარიცხი ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

3.9 ნაღდი ფული და მისი ეკვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისთვის, ფულადი სახსრების ეკვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალილიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ეკვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. კომპანიის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ეკვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლიდა წინასწარ ცნობილი ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)**3.10 შესადარისი ინფორმაცია**

შესადარისი ინფორმაცია ასევე რეკლასიფიცირებულია ფინანსურ ანგარიშგებაში მიმდინარე წელთან შესაბამისობისათვის. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ამჟამინდელი წარდგენა უზრუნველყოფს ინფორმაციას, რომელიც უტყუარია და უფრო შესაბამისი და გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის.

გადაანგარიშებისა და ხელახლა წარმოდგენის შედეგად შეტანილი კორექტირებების შეჯამება, ფინანსური მდგომარეობისა და სრული შემოსავლების ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრისათვის მოცემულია შემდეგ ცხრილებში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერი	წინა პერიოდის	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
გაუნაწილებელი მოგება	(23,366)	500	(22,866)
გადაფასების რეზერვი	500	(500)	-
საერთო ზეგავლენა ფინანსურ მდგომარეობაზე	(22,866)	-	(22,866)
2018 წლის 31 დეკემბერი	წინა პერიოდის	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
მარაგები	28,092	(2,434)	25,658
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,032	85	6,117
წინასწარ გადახდილი გადასახადები	776	(379)	397
გაუნაწილებელი მოგება	(23,122)	(2,311)	(25,433)
სესხები - მიმდინარე ნაწილი	2,292	83	2,375
გადაფასების რეზერვი	500	(500)	-
საერთო ზეგავლენა ფინანსურ მდგომარეობაზე	14,570	(5,456)	107,554,314

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2018	წინა პერიოდის	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
ადმინისტრაციული ხარჯები	951	379	1,330
მარაგების გაუფასურების ხარჯი	-	2,434	2,434
უიმედო ვალების ხარჯი	-	651	651
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯები	732	(736)	(4)
ფინანსური ხარჯები	68	83	151
საერთო ზეგავლენა მიმდინარე წლის მოგებაზე	1,751	2,811	4,562

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2018	წინა პერიოდის	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
დებიტორების რეზერვი	-	651	651
მარაგების რეზერვი	-	2,434	2,434
საპროცენტო ხარჯი	67	84	151
კლება/(ზრდა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	3,814	(736)	3,078
კლება/(ზრდა) სხვა აქტივებში	(598)	379	(219)
მიღებული პროცენტები	1,357	(59)	1,298
გაცემული სესხების დაბრუნება	(630)	630	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	9	(18)	(9)
სესხების მიღება	6,000	(53)	5,947
კაპიტალის შემცირება	-	(500)	(500)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული	-	(7)	(7)
საერთო ზეგავლენა ფულადი სახსრების მოძრაობაზე	10,019	2,805	12,824

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალური შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლო აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალური შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლო აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ლიხით:

4.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განთავსებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითარებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გათვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

4.2 უიმედო ვალი

კომპანია აფასებს მისაღები მოთხოვნების ამოღების დონეს მის გამოცდილებაზე და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. რეალური ამოღების დონე შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებებისგან.

4.3 საბაზრო საპროცენტო განაკვეთი

მენეჯმენტმა კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასების მიზნით გამოიყენა საბაზრო საპროცენტო განაკვეთები. საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ შესაძლოა ფინანსურ ვალდებულებებზე და საპროცენტო ხარჯებზე იქონიოს გავლენა.

5 ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	სულ
ისტორიული ღირებულება						
31-დეკ-17 შესწორებული	4	1,005	656	87	1,061	2,813
შეძენა შესწორებული	-	-	6	2	1	9
31-დეკ-18 შესწორებული	4	1,005	662	89	1,062	2,822
შეძენა	-	-	2	1	1	4
31-დეკ-19	4	1,005	664	90	1,063	2,826
აკუმულირებული ცვეთა						
31-დეკ-17 შესწორებული	-	688	492	60	985	2,225
პერიოდის ცვეთა შესწორებული	-	17	27	7	10	61
31-დეკ-18 შესწორებული	-	705	519	67	995	2,286
პერიოდის ცვეთა	-	15	22	5	9	51
31-დეკ-19	-	720	541	72	1,004	2,337
ნარჩენი ღირებულება						
31-დეკ-17 შესწორებული	4	317	164	27	76	588
31-დეკ-18 შესწორებული	4	300	143	22	67	536
31-დეკ-19	4	285	123	18	59	489

სს "აკურა"

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

		შესწორებული	შესწორებული
	31-დეკ-19	31-დეკ-18	31-დეკ-17
6 მარაგები			
ლვინომასალა	47,714	11,566	130
სპირტი	37,246	14,334	1,690
ვაშლის კონცენტრატი	1,481	2,033	729
დაძველებული მარაგების რეზერვი	(18,174)	(2,434)	-
სხვა მარაგი	384	159	155
სულ მარაგები	68,651	25,658	2,704

		შესწორებული	შესწორებული
	31-დეკ-19	31-დეკ-18	31-დეკ-17
გაუფასურებული მარაგების რეზერვი			
01 იანვარი	2,434	-	-
წლის ხარჯი	15,740	2,434	-
სულ გაუფასურებული მარაგების რეზერვი	18,174	2,434	-

გაუფასურებული მარაგების რეზერვი, წარმოადგენს სხვაობას ნეტო სარეალიზაციო ფასსა და თვითღირებულებას შორის.

		შესწორებული	შესწორებული
	31-დეკ-19	31-დეკ-18	31-დეკ-17
7 გაცემული სესხები			
გაცემული სესხი ლარში	-	4,500	4,500
მისაღები პროცენტი ლარში	-	702	72
სულ გაცემული სესხები	-	5,202	4,572

		შესწორებული	შესწორებული
	31-დეკ-19	31-დეკ-18	31-დეკ-17
8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები			
სავაჭრო მოთხოვნები	5,906	6,517	9,645
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(694)	(651)	-
ნეტო სავაჭრო მოთხოვნა	5,212	5,866	9,645
სხვა მოთხოვნები	246	251	201
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,458	6,117	9,846

		შესწორებული	შესწორებული
	31-დეკ-19	31-დეკ-18	31-დეკ-17
საექვო მოთხოვნების რეზერვი			
01 იანვარი	651	-	-
წლის ხარჯი	43	651	-
სულ საექვო მოთხოვნების რეზერვი	694	651	-

		შესწორებული	შესწორებული
	31-დეკ-19	31-დეკ-18	31-დეკ-17
9 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე			
ფული ბანკში	398	933	17,217
ნაღდი ფული საღარიბოში	7	-	1
სულ ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	405	933	17,218

10 სააქციო კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი შეადგენდა 57,348 ლარს, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის შესწორებული მდგომარეობით შესაბამისად 57,348 და 57,848 ლარს.

		შესწორებული	შესწორებული
	31-დეკ-19	31-დეკ-18	31-დეკ-17
11 მიღებული სესხები			
გრძელვადიანი სესხები დოლარში	37,086	-	-
მოკლევადიანი სესხები დოლარში	19,398	-	-
მოკლევადიანი სესხები ლარში	2,379	2,375	51
გრძელვადიანი სესხები ლარში	1,611	3,774	-
სულ მიღებული სესხები	60,474	6,149	51

კომპანიას მარაგებით უზრუნველყოფილი გრძელვადიანი სესხები აღებული აქვს ბანკი ქართუსგან, რომელსაც მოქმედების ვადა აქვს 2020 წლის 28 დეკემბრამდე და წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 9%-ს. დამატებითი ინფორმაცია კომპანიის საპროცენტო განაკვეთისა და უცხოური ვალუტის რისკის შესახებ იხილეთ შენიშვნა 18.2-ში.

სს "აკურა"

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

11 მიღებული სესხები (გაგრძელება)

ფინანსური ხარჯები	შესწორებული	
	2019	2018
საპროცენტო ხარჯი დოლარში	972	-
საპროცენტო ხარჯი ლარში	551	151
სულ ფინანსური ხარჯები	1,523	151

12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	შესწორებული		შესწორებული
	31-დეკ-19	31-დეკ-18	31-დეკ-17
სავაჭრო ვალდებულებები	2,637	734	76
სახელფასო ვალდებულებები	4	19	-
სხვა ვალდებულებები	33	29	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,674	782	76

13 შემოსავალი	შესწორებული	
	2019	2018
სპირტი	8,920	-
ლვინომასალა	3,523	102
ვაშლის კონცენტრეტი	586	648
სულ მიღებული შემოსავალი	13,029	750

14 რეალიზებული პროდუქციის ღირებულება	შესწორებული	
	2019	2018
სპირტის ღირებულება	9,817	-
ლვინომასალის ღირებულება	2,615	89
ვაშლის კონცენტრატის ღირებულება	597	539
სულ რეალიზებული პროდუქციის ღირებულება	13,029	628

15 ადმინისტრაციული ხარჯები	შესწორებული	
	2019	2018
ხელფასის ხარჯი	946	727
აუქციონის სარგებელს ხარჯი	95	6
ცვეთის ხარჯი	51	61
საგადასახადო ხარჯი	48	379
იჯარის ხარჯი	-	37
სხვა ხარჯი	78	120
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	1,218	1,330

16 წმინდა საკურსო სხვაობა	შესწორებული	
	2019	2018
არარეალიზებული	1,589	-
რეალიზებული	149	7
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	1,738	7

17 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

17.1 სამართლებრივი პროცედურები

პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგება კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

17.2 საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამჯერებელ

17 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)**17.2 საგადასახადო კანონმდებლობა (გაგრძელება)**

და დაზვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

18 ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს, მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს, საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გაცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა

პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

18.1 საკრედიტო რისკი

კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების კრედიტით მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები. კომპანია მიიჩნევს, რომ მოსალოდნელი ზარალი ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ფლობიდან უმნიშვნელოა. შესაბამისად, საკრედიტო რისკის შეფასება ფაქტობრივად ხორციელდება სავაჭრო მოთხოვნებზე.

18.2 საბაზრო რისკი

კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: ა) უცხოურ ვალუტებში, ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, და გ) საწესდებო კაპიტალის პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

ქვემოთ მოცემულ საბაზრო რისკებისადმი მგრძნობიარობა ეფუძნება ფაქტორში მომხდარ ცვლილებას, ხოლო სხვა ფაქტორები უცვლელად განიხილება. ნაკლები ალბათობა არსებობს, რომ ამას ადგილი ექნება პრაქტიკაში და ზოგიერთ ფაქტორში ცვლილებები შესაძლოა დაკავშირებული იქნეს, მაგალითად, საპროცენტო განაკვეთსა და უცხოურ სავალუტო განაკვეთებში მომხდარ ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველდღიურად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

31-დეკ-2019	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	404	-	1	405
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,461	-	-	5,461
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(2,674)	-	-	(2,674)
სესხები	(3,990)	(56,484)	-	(60,474)
სულ	(799)	(56,484)	1	(57,282)

18 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)**18.2 საბაზრო რისკი (გაგრძელება)**

31-დეკ-2018 შესწორებული	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	933	-	-	933
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,120	-	-	6,120
გაცემული სესხები	5,202	-	-	5,202
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(782)	-	-	(782)
სესხები	(6,149)	-	-	(6,149)
სულ	5,324	-	-	5,324
31-დეკ-2017 შესწორებული	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	16,095	-	1,123	17,218
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,858	-	-	9,858
გაცემული სესხები	4,572	-	-	4,572
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(76)	-	-	(76)
სესხები	(51)	-	-	(51)
სულ	30,398	-	1,123	31,521

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. მიიჩნევენ, რომ ინვესტიციები საკუთარ კაპიტალსა და არაფულად აქტივებში არ წარმოშობს რაიმე მატერიალურ სავალუტო რისკს.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის და საკუთარი კაპიტალის სენსიტიურობა სავალუტო განაკვეთებში გონივრულად შესაძლო ცვლილების მიმართ, რომელიც გამოიყენება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს კომპანიის შესაბამისი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის მიმართ. ყველა სხვა ცვლადი უცვლელია:

	შესწორებული		
	2019	2018	2017
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	(5,648)	-	-
აშშ დოლარის დასუსტება 10%-ით	5,648	-	-
ევროს გამყარება 10%-ით	-	-	112
ევროს დასუსტება 10%-ით	-	-	(112)

ამ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება გაანგარიშებულ იქნა მხოლოდ ფულადი ნაშთებისათვის იმ ვალუტებში, რომლებიც კომპანიის შესაბამისი საწარმოს ვალუტას არ წარმოადგენს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანია ექვემდებარება იმ ცვლილებების შედეგებს, რომელსაც ადგილი აქვს გავრცელებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში მისი ფინანსური მდგომარეობისა და ფულადი ნაკადების მიმართ. კომპანიის პროცენტიანი აქტივები მოიცავს ბანკის ვადიან დეპოზიტებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკი უმთავრესად განპირობებულია სესხით სარგებლობასთან. ფიქსირებული განაკვეთებით აღებული სესხების შედეგად კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რეალური ღირებულების რისკს.

კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს რისკი უმნიშვნელოა კომპანიის საქმიანობისათვის. თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განაკვეთი ჯობია კომპანიისათვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით, თუ ცვლადი განაკვეთი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირი დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომპანიას ყოველდღე უკავშირდება

18 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)**18.2 საბაზრო რისკი (გაგრძელება)**

კომპანიის არსებული ფულადი სახსრების რესურსების შესახებ. კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ისწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმთავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2019 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები კონტრაქტების მიხედვით დარჩენილი გადახდის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები განსხვავდება ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მოცემული თანხა ეფუძნება დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადებს.

უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სპოტ გაცვლითი კურსის მიხედვით.

31-დეკ-2019	0-1 წელი	1-5 წელი	5-ზე მეტი	სულ
სესხები	21,777	38,697	-	60,474
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,674	-	-	2,674
სულ	63,148		-	63,148

31-დეკ-2018	0-1 წელი	1-5 წელი	5-ზე მეტი	სულ
სესხები	2,375	3,774	-	6,149
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	782	-	-	782
სულ	6,931		-	6,931

31-დეკ-2017	0-1 წელი	1-5 წელი	5-ზე მეტი	სულ
სესხები	51	#REF!	-	#REF!
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	76	-	-	76
სულ	#REF!		-	#REF!

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირება, რათა აქციონირებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა მოახდინოს აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს აქციონერებს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

	შესწორებული შესწორებული		
ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები	31-დეკ-19	31-დეკ-18	31-დეკ-17
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული აქტივები			
-სავაჭრო დებიტორული დავალიანება	5,458	6,117	9,846
-საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	398	933	17,217
-სხვა ფინანსური მოთხოვნები	3	5,205	4,584
სულ ფინანსური აქტივები	5,859	12,255	31,647
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები			
-სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	2,674	782	76
-ნასესხები საშუალებები	60,474	6,149	51
სულ ფინანსური ვალდებულებები	63,148	6,931	127

19 რეალური ღირებულება

კომპანია ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლების თავდაპირველი აღიარების შემდეგ აღრიცხულია რეალური ღირებულებით და ამოსავალი მონაცემები 1-3 დონეებზე იყოფა. დონეები განმარტებულია ქვემოთ:

- 1-ლი დონე - რეალური ღირებულება განსაზღვრულია იდენტური აქტივების და ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასებით (დაუკორექტირებელი);
- მე-2 დონე - რეალური ღირებულება განისაზღვრება მოცემული აქტივის ან ვალდებულების შესახებ 1-ელ დონეზე მიკუთვნებული ყველა მონაცემით, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც ემპირიულია პირდაპირ ან არაპირდაპირ;
- მე-3 დონე - რეალური ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს აქტივების და ვალდებულებების შესახებ არაემპირიულ მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

20 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

როგორც წესი, მხარეები დაკავშირებულ მხარეებზე მიიჩნევა, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ მხარეს გააჩნია მეორე მხარის კონტროლის, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ან თუ არსებობს მესამე მხარეზე ერთობლივი კონტროლი ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღების დროს. თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

2019 და 2018 წლებისთვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

ოპერაციები	შესწორებული	
	2019	2018
მენეჯმენტის ხელფასი	152	111

21 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წელს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მის დაქვემდებარებაში არსებული ღვინის კომპანია სს "აკურა" კერძო მესაკუთრეებს დაუბრუნოს. აქტივები, რომლებიც კომპანიამ სახელმწიფო საკუთრებაში ყოფნის დროს შეიძინა, კვლავ სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩება, ხოლო მის ძველ მესაკუთრეებს დაუბრუნდება ქონება, რომელსაც ქარხანა ჩამორთმევამდე ანუ 2004 წლამდე ფლობდა. ახალი კომპანია, შპს "მოსავლის მართვის კომპანია", რომელიც რთველის სუბსიდირების მიზნით 2020 წლის 4 აგვისტოს დაარსდა, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დაქვემდებარებაშია.

2020 წლის დასაწყისში დადასტურდა მწვავე ვირუსული დაავადების კორონავირუსის („COVID 19“) არსებობა, რამაც მსოფლიოში ეკონომიკისა და ბიზნესსაქმიანობის შეფერხება გამოიწვია. ვირუსმა და მასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა 2020 წელს მცირედით შეაფერხა კომპანიის ოპერაციები. თუმცა მენეჯმენტის შეფასებით, COVID 19-თან დაკავშირებულ რისკებს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენის მოხდენა არ შეუძლია კომპანიის საქმიანობასა და მის უნარზე საქმიანობა გააგრძელოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

პერიოდის შემდგომ სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

*** დოკუმენტის დასასრული ***

მმართველობის ანგარიშგება

ა) საქმიანობის განვითარება, შედეგების ადამდგომარეობისა აღწერა

ა.1. საზოგადოების განვითარების გეგმადირითად

იმონაცემები კომპანიის შესახებ

აკურის ღვინის ქარხანას დაარსებობს 1954 წლიდან. კომპანია დაფუძნებულია „სახელმწიფოსაწარმოების სახელმწიფოსაწარმოო გაერთიანების სააქციო საზოგადოება დგარდაქმნის ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ“

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის #288

დადგენილების შესაბამისად აკურის ღვინის ქარხნის ბაზაზე

დათელავის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 21 დეკემბრის #34/5-5

გადაწყვეტილებით რეგისტრირებული აროგორც სააქციო საზოგადოება.

საზოგადოების წილის 99.8494%-

იმესაკუთრე აკონომიკის ადამდგრადი განვითარების სამინისტრო, ხოლო დანარჩენი 0.1506%-ი განაწილებულია ფიზიკურ პირებზე.

სს „აკურამდებარეობს თელავის რაიონში, სოფ. აკურაში. ქარხანა განთავსებულია 36069 კვ.მ ტერიტორიაზე.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა.

კომპანიის საქმიანობის ფეროსწარმოადგენს ყურძნის გადამუშავება ღვინის დამზადება ისადასაბრენდესპირტის წარმოება. საწარმოში ფუნქციონირებს ორი ყურძნის ტკბილის მიმღები განყოფილება ღვინომასალების დასამზადებლად. ამასგარდა, ფუნქციონირებს სპირტის სახდელი და დასამკვლელებელი განყოფილება.

ყურძნის მიღება-

გადამუშავების განყოფილება მოიცავს რუსული წარმოების ყურძნის გადამამუშავებელ 5 ხაზს და ორ 25 ტონიანავტოსასწორს. თითოეული ხაზის წარმადობა შეადგენს 130

ტონას დღე-ღამეში, რაც საერთო ჯამში დაახლოებით 650

ტონანედლეულის გადამამუშავების საშუალებას იძლევა.

დღეისათვის ქარხანა ძირითადად ორიენტირებულია რქაწითელის ღვინის წარმოებაზე, თუმცა ასევე წარმოებს საბრენდესპირტის გამოხდაც.

საწარმოში დამონტაჟებულია მარანტეს ტიპის 8

ცალისაბრენდესპირტის სახდელი აპარატი. მისი საერთო წარმადობა დღე-

ღამეში შეადგენს დაახლოებით 170 დალ. საბრენდესპირტსა/აგადაანგარიშებით.

ამასგარდა, საწარმოს გააჩნია სპირტის სახდელი კოლონა (დანადგარი),

რომელიც დღე-ღამეში ხდის 4500 დალ. ღვინომასალას. სს „აკურას“

საცავები განთავსებულია როგორც ქარხნის ტერიტორიაზე, ასევე მუენობაში,

სადაც საერთო ჯამში შესაძლებელია 550 000 დალ.

ღვინისა და საბრენდესპირტის დასაწყობება.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია:

- საქართველოს კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ“;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 03 იანვრის N3 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის- ყურძნის ღვინოების წარმოების ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ“.
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის 19 თებერვლი ბრძანება N282 „ყურძნის ეული წარმოშობის ალკოჰოლიანის ასმელისა და ყურძნის ეული წარმოშობის სპირტის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2003 წლის 20 თებერვალის N2-37 ბრძანება-

“ღვინისა და ღვინის ბრენდის ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციისათვის საჭირო მონაცემთა შესწავლისა და დადგენის წესის” და “ადგილწარმოშობის დასახელების ღვინისა და ღვინის ბრენდის წარმოებაზე სახელმწიფო კონტროლის წესის” დამტკიცების შესახებ.

და სხვა ქვენორმატიული აქტები.

კომპანია წარმოებულ პროდუქციას ძირითადად ყიდის ადგილობრივ ბაზარზე საქართველოში.

ალკოჰოლურ ინაწარმის მწარმოებელთა შორის სს „აკურა“-ს ხვედრითი წილი ცვალებადია და დამოკიდებულია მიღებული ყურძნის რაოდენობაზე.

სარეალიზაციო საქონლის ასორტიმენტი იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად:

- რქაწითელი ღვინო მასალის წარმოება
- საბრენდე სპირტის წარმოება.

კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შეცვლას უახლოეს პერიოდში არ გეგმავს.

ყურძნის საკუთარი წარმოების სპირობებში კომპანიის არულადგააკონტროლებს აგრძელებს და ცვას, ტექნიკურ სიმწიფეს დაა.შ. რაც საბოლოო დასახელებას წარმოებულ ღვინის ხარისხში. შესაბამისად მეტი საშუალება გაჩნდება მაღალფასიანის ემენტის შესაფერისი პროდუქციის საწარმოებლად, ასევე შესაძლებელი გახდება ასორტიმენტის გაფართოებაც.

1. ბინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ.

კომპანიას ფილიალები არ გააჩნია.

1. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ამ მიმართულებით საანგარიშგებო პერიოდში რაიმე სერიოზული კვლევითი პროექტები ჩატარდა?

1. დასაქმების ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები კომპანია

სა დასაქმების ძირითადი ფინანსური მაჩვენებლებია: ათასი ლარი

	31/12/18	31/12/19	% წინაწელთან
მიმდინარე აქტივები	38310	74517	1.95
გრძელვადიანი აქტივები	536	489	0.91
სულ აქტივები	38846	75006	1.93
მიმდინარე ვალდებულებები	3157	24451	7.75
გრძელვადიანი ვალდებულებები	3774	38697	12.26
გადაფასების რეზერვი			
მოგება/ ზარალი	-25433	-45490	1.79
სულ კაპიტალი	57348	57348	1
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	38846	75006	1.93
შემოსავალი რელიზაციიდან	750	13029	17.37
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	628	13029	20.75

კომპანიის მიერ

წარმოებული და რეალიზებული პროდუქციის დინამიკაში შემდეგია

	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი
წარმოებულია ღვინო მასალები და სხვა ლიტ	1858670	26581370	50421586
რეალიზებულია ღვინო მასალები და სხვა ლიტ	16094880	45942	18551539
თანხა (ათ.ლარი) რეალიზაცია	33604	750	13029

თანხა (ათ.ლარი) წარმოების

22031

1979

62543

კომპანიაში ყოველწლიურად მცირედით იზრდება როგორც დასაქმებულთა რაოდენობა, ასევე მათი ანაზღაურება და სხვა განაცემები. აღნიშნულს ადასტურებს შემდეგი ცხრილი.

დასაქმებულთა საშუალო ხელფასი და რაოდენობა

	2017წელი	2018წელი	2019წელი
დასაქმებულთა საშუალო ხელფასი	972	1188	1702
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	70	65	67

ბ) ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკებთან დაკავშირებით მენეჯმენტის

აზრით ძირითადია, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის დამახასიათებელი რისკი დაკავშირებულია

ამინდთან. არახელსაყრელმა ამინდმა, კერძოდ, ხშირმა წვიმებმა, ან პირიქით დიდმა გვალვამ, ასევე სეტყვამ, რაც ხშირია საქმიანობის რეგიონში, შესაძლებელია გამოიწვიოს მოსავლის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურება. ამის თავიდან ასაცილებლად კომპანია ს ეს რისკი არ გააჩნია რადგან არა აქვს ვენახები გაშენებული.

რეალიზაციის პრობლემა დამასთან დაკავშირებული რისკი.

კომპანიის რეალიზაციის პრობლემას ძირითადად სახელმწიფო აგვარებს

ქონების დაცვის რისკი

კომპანიას ქონება დაზღვეული არა აქვს

, კომპანიას იცავს ქურდობისაგან საკუთარი დაცვა.

მენეჯმენტის აზრით სხვა დანარჩენი რისკები საშუალოზე დაბალია და სერიოზულად არ განიხილება.

რაც შეეხება გაურკვევლობებს, იგი დაკავშირებულია სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან მოულოდნელად მიღებულ გადაწყვეტილებებთან, აგრეთვე მწვავე ვირუსული დაავადების კორონავირუსის („COVID 19“) რომლებსაც შეუძლია კომპანიის საქმიანობის შედეგები მნიშვნელოვნად შეცვალოს და რომელთა წინასწარი პროგნოზირება ცალკეულ შემთხვევებში შეუძლებელია. მთავარი რისკი ჩვენთვის არის ბაზარზე არსებული საბრუნდე სპირტის დაბალი ფასი, სპირტის წარმოება გაცილებით ძვირი ჯდება, შესაბამისად იღებს მნიშვნელოვან ზარალს. რაც შეეხება კორონა ვირუსს იგი გარკვეულ წილად აფერხებს მოსახლეობის მხრიდან ღვინის შესყიდვას.

დასაქმებულთა საშუალო ხელფასი დარაოდენობა

	2017წელი	2018წელი	2019წელი
დასაქმებულთა საშუალო ხელფასი	972	1188	1702
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	70	65	67

ბ) ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკებთან დაკავშირებით მენეჯმენტის

აზრით ძირითადია, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის დამახასიათებელი რისკი დაკავშირებულია

ამინდთან. არახელსაყრელმა ამინდმა, კერძოდ, ხშირმა წვიმებმა, ან პირიქით დიდმა გვალვამ, ასევე სეტყვამ, რაც ხშირია საქმიანობის რეგიონში, შესაძლებელია გამოიწვიოს მოსავლის მთლიანადანაწილობრივ განადგურება. ამის თავიდან ასაცილებლად კომპანია ს ეს რისკი არ გააჩნია რადგან არა აქვს ვენახები გაშენებული.

რეალიზაციის პრობლემა დამასთან დაკავშირებული რისკი.

კომპანიის რეალიზაციის პრობლემას ძირითადად სახელმწიფო აგვარებს

ქონების დაცვის რისკი

კომპანიას ქონება დაზღვეული არა აქვს

, კომპანიას იცავს ქურდობისაგან საკუთარი დაცვა.

მენეჯმენტის აზრით სხვა დანარჩენი რისკები საშუალოზე დაბალია და სერიოზულად არ განიხილება.

რაც შეეხება გაურკვევლობებს, იგი დაკავშირებულია სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან მოულოდნელად მიღებულ გადაწყვეტილებებთან, აგრეთვე მწვავე ვირუსული დაავადების კორონავირუსის („COVID 19“) რომლებსაც შეუძლია კომპანიის საქმიანობის შედეგები მნიშვნელოვნად შეცვალოს და რომელთა წინასწარი პროგნოზირება ცალკეულ შემთხვევებში შეუძლებელია. მთავარი რისკი ჩვენთვის არის ბაზარზე არსებული საბრუნდე სპირტის დაბალი ფასი, სპირტის წარმოება გაცილებით ძვირი ჯდება, შესაბამისად იღებს მნიშვნელოვან ზარალს. რაც შეეხება კორონა ვირუსს იგი გარკვეულ წილად აფერხებს მოსახლეობის მხრიდან ღვინის შესყიდვას.

სს „აკურა“-ს დირექტორი

პაატა ჭავჭავაძე

